წერილის ნომერი: **30-302234650**
თარიღი: **12/12/2022**

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 115-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი.

მოგახსენებთ, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, განცხადებით მომართა ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებამ“ (ს/კ 233731478) - რომელმაც აიპის ადმინისტრაციული შენობის, ჩიბათისა და ნიგოითის ადმინისტრაციული ერთეულში (სოფელ ქვიანში) ახალი ბიბლიოთეკების განთავსების მიზნით, ითხოვა მისი არსებობის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონების გადაცემა კერძოდ,

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3252 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული შენობა-ნაგებობა, საერთო ფართით -2853,80 კვ.მ. (კულტურის ცენტრის შენობა ს/კ 27.06.56.016)

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნიგოითის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ქვიანში მდებარე უძრავი ქონება (ს/კ

27.04.50.282.01.500; ფართი - 26,90 კვ.მ.)

გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე, ჩიბათის ადმინისტრაციული შენობის (ს/კ 27.09.46.013.01.503) პირველ სართულზე მდებარე სამი ოთახი. საერთო ფართით - 113,99 კვ.მ.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზემოაღნიშნული უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, უზუფრუქტის ფორმით, მისი არსებობის ვადით, სარგებლობის უფლებით გადასცეს ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებას“, რომ დაწესებულებამ შეძლოს მისთვის წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უძრავი ქონების სარგებლობის უფლების გადაცემასთან დაკავშირებით, გთხოვთ თქვენს თანხმობას.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსის ირაკლი ხუხუნაიშვილის კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური

წერილის ნომერი:**08-30223425**
თარიღი: **08/12/2022**

ადრესატი:

ალექსანდრე სარიშვილი
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს,
ბატონ ალექსანდრე სარიშვილს

ქონების მართვისა და სოფლის
მეურნეობის სამსახურის უფროსი

ირაკლი ხუხუნაიშვილის

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო ალექსანდრე,

საქართველოს მავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N 669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების თანახმად მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით. პირდაპირი განკარგვის წესით მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შეიძლება სასყიდლით ან უსასყიდლოთ.

მუნიციპალიტეტს ორი განცხადებით მომართა (კანცელარიის N 13/302212418-30; 04.05.2022 წელი და N 10/302228624-30) ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კულტურის დაწსებულებათა გაერთიანებამ (ს/კ 233731478) რომლებშიც ითხოვს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობებისა და მიწის ფართობის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემას ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კულტურის დაწსებულებათა გაერთიანების“-სათვის (უძრავი ქონებების ჩამონათვალი იხილეთ დანართ 1 -ში) ასევე მეორე განცხადებაში მოთხოვნილია ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში ადმინისტრაციულ შენობაში (ს/კ 27.09.46.013) პირველ სართულზე არსებული სამი ოთახის საერთო ფართით 113,998 კვ.მ. გადაცემა ახალი ბიბლიოთეკის მოსაწყობად (ვინაიდან შენობა (ს/კ 27.09.45.003) რომელშიც ამჟამად განთავსებულია ჩიბათის ბიბლიოთეკა დაზიანებულია და იქ წიგნადი ფონდის დატოვება არ შეიძლება) .

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კულტურის დაწსებულებათა გაერთიანებას“ (ს/კ 233731478) გადაეცეს სარგებლობის

უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით მისი არსებობის ვადით:

1) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3252 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული შენობა-ნაგებობა საერთო ფართით 2853,80 კვ.მ. (კულტურის ცენტრის შენობა ს/კ 27.06.56.016)

2) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნიგოითის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ქვიანში მდებარე უძრავი ქონება (ს/კ 27.04.50.282.01.500; ფართი 26,90 კვ.მ.)

3) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჩიბათის ადმინისტრაციული ერთეულში მდებარე უძრავი ქონების პირველ სართულზე მდებარე (ჩიბათის ადმინისტრაციული შენობა ს/კ 27.09.46.013.01.503) სამი ოთახი საერთო ფართით 113,99 კვ.მ.

ზემოთაღნიშნული ქმედებების განსახორციელებლად საჭიროა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის შესაბამისი ბრძანება.

გთხოვთ დაავალოთ ადმინისტრაციულ და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურს სათანადო პროექტის მომზადება.

დანართი: 3 (სამი) ფურცელი

პატივისცემით:

ირაკლი ხუხუნაიშვილი

ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური-ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება“

მისამართი ქ.ლანჩხუთი ჟორდანიას ქ.N 99. ტელ: 22 – 30 – 22 .

N 33 04 მაისი 2022 წელი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ალექსანდრე სარიშვილს.

ბატონო ალექსანდრე,

გთხოვთ, განიხილოთ საკითხი კანონით დადგენილი წესების შესაბამისად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა.(ა).ი.პ.ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებაში“ შემავალი განყოფილებების შენობა - ნაგებობისა და მასზედ მიმაგრებული მიწის ფართობით - უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადმოცემა „კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება“ - სათვის.

დანართი: „1“გვერდი.

ა.(ა).ი.პ.ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კულტურის დაწესებულებათა
გაერთიანების“დირექტორი: / მერაბ ქარჩავა / .

ა.(ა).ი.პ.ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება“

1.კულტურის ცენტრი ---------- საკ/კოდი - 27.06.56.016;

2.ეგ.ნინოშვილის სახელობის მუზეუმი----- საკ/კოდი -- 27.14.53.233;

3.ცენტრალური ბიბლიოლეთეკა---------- საკ/კოდი --27.06.51.020.01.511;

4.აცანის კულტურის ცენტრი---------- საკ/კოდი--27.02.44.003;

5.მამათის ბიბლიოთეკა---------- საკ/კოდი--27.01.42.015;

6.აკეთის ბიბლიოთეკა---------- საკ/კოდი--27.03.45.001;

7.ჩოლობარგის ბიბლიოთეკა---------- საკ/კოდი--27.04.49.788;

8.ქვიანის ბიბლიოთეკა---------- საკ/კოდი--882020207281;

9.მაჩხვარეთის ბიბლიოთეკა---------- საკ/კოდი--27.07.41.002;

10.ჩიბათის ბიბლიოთეკა---------- საკ/კოდი--27.09.45.003;

11.ლესის ბიბლიოთეკა---------- საკ/კოდი--27.10.46.002;

12.ეწერის ბიბლიოთეკა---------- საკ/კოდი--27.11.48.013;

13.ბაღლეფის ბიბლიოთეკა---------- საკ/კოდი--27.11.48.006;

14.ნინოშვილის ბიბლიოთეკა---------- საკ/კოდი--27.12.41.004;

15.ღრმაღელის ბიბლიოთეკა---------- საკ/კოდი--27.16.46.003;

16.ჩოჩხათის ბიბლიოთეკა---------- საკ/კოდი--27.13.43.001.

17.ჯურუყვეთის კულტურის ცენტრი------ საკ/კოდი----------

არასამეწარმეო(არაკომერციული)იურიდიული პირი
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება“

მის: ქ. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. № 99 ტელ. 22 – 30 - 22

N 95

13 ოქტომბერი 2022 წელი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ალექსანდრე სარიშვილს.

ბატონო ალექსანდრე,

გაცნობებთ,რომ ა.(ა).ი.პ.ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების“ დაქვემდებარებაში არსებული ქალაქის ბიბლიოთეკის - ჩიბათის ბიბლოთეკა სადაც ამჟამად განთავსებულია წიგნადი ფონდი შენობა არის ავარიულ მდგომარეობაში და საფრთხეს უქმნის წიგნად ფონდს,ასევე საფრთხე ექმნება ბიბლიოთეკაში შემსვლელ მკითხველებს,ბიბლიოთეკის საქმიანობის განხორციელებისა და წიგნადი ფონდის უსაფრთხოდ განთავსების მიზნით გთხოვთ,განიხილოთ საკითხი და არსებული ბიბლიოთეკა განათავსოთ დაცულ შენობაში.

ა.(ა).ი.პ.ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კულტურის დაწესებულებათა
გაერთიანების“დირექტორი: / მერაბ ქარჩავა /.

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2022 წლის დეკემბერი
ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 115-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებას“ (ს/ნ 233731478) მისი არსებობის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონება:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3252 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული შენობა-ნაგებობა, საერთო ფართით -2853,80 კვ.მ. (კულტურის ცენტრის შენობა ს/კ 27.06.56.016)

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნიგოითის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ქვიანში მდებარე უძრავი ქონება (ს/კ 27.04.50.282.01.500; ფართი - 26,90 კვ.მ.)

გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე, ჩიბათის ადმინისტრაციული შენობის (ს/კ 27.09.46.013.01.503) პირველ სართულზე მდებარე სამი ოთახი. საერთო ფართით - 113,99 კვ.მ.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე**